ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAULI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

№ 5006163319
24/09/2019

5006163319

მოქალაქე ოთარ ნარჩემაშვილს

ბატონო ოთარ,
ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი მომართვის (ბიუროს 2019 წლის 26 ივლისის რეგისტრაციის N1006703119) საფუძველზე, გიგზავნით საინჟინრო ექსპერტიზის N006751819 დასკვნას.

დანართი:
ექსპერტის დასკვნა 07 ფურცლად;

პატივისცემით,

გიორგი მურვანიძე
ბიუროს უფროსის მოადგილე

თბილისი 0162. ჭავჭავაძის გამზ. N84
ქუთაისი 4600. ი. ჭავჭავაძის 2ა
ბათუმი . პ. მელიქიშვილის ქ. N102
(995 32) 2258484
info@expertiza.gov.ge

84 Chavchavadze ave., Tbilisi 0162
2A I. Chavchvadze str., Kutaisi 4600
102 P. Melikishvili str., Batumi
(995 32) 2258484
info@expertiza.gov.ge

5006163319

ელექტრონული დოკუმენტის ასლის მატერიალურ დოკუმენტთან თანაბარ იურიდიულ ძალას ვადასტურებ,
ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირი _____ ნ. სხირტლაძე
(ხელმოწერა) ბ.ა.

თარიღი 24.09.19

006751819

ექსპერტის დასკვნა № 006751819

გაფრთხილება

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: საინჟინრო ექსპერტიზა

დამნიშნავი:

მისამართი:

სახელი და გვარი: ზურაბ ქილიფთარის,იოსებ ნიბლაძის და ირაკლიტიკარაძის წარმომადგენელი ოთარი ნარჩემაშვილი

საფუძველი: მომართვა

შემსრულებელი ექსპერტები:

ზაზა ყიფიანი / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს უფროსი, სპეციალობით მუშაობის 24 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

შეკითხვები ატვირთულია დანართად.

შემოსვლის თარიღი: 26/07/2019 წ

გასვლის თარიღი: 24/09/2019 წ

დასკვნა

1; 2. ზოგადად და მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაშიც ყველა საინჟინრო ნაგებობის (მათ შორის გზების) საპროექტო დოკუმენტაციის შედგენას წინ უნდა უსწრებდეს სამშენებლო ტერიტორიის საკვლევაძიებო სამუშაოები, მათ შორის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები.

3. ზოგადად და მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაშიც, სამანქანო და საფეხმავლო გზების მოსაწყობად საჭიროა არქიტექტურულ-გეგმარებითი, კონსტრუქციული და სხვა სახის საპროექტო დოკმენტაციის დამუშავება.

4. კითხვაში მოყვანილი #002383719 დასკვნის შენიშვნები მნიშვნელოვანია და საჭიროებენ გათვალისწინებას.

5. საინჟინრო ექსპერტიზის #002383719 დასკვნის ბოლო ნაწილში ,,გამოყენებული მასალა" მოცემულია ექსპერტიზას დაქვემდებარებული ტექნიკური დოკუმენტაცია ,,შპს ,,გეოინჟკომპლექსი"-ს მიერ მომზადებული ,,ქ. თბილისში, ბაგების მიმდებარედ, წყნეთის გზატკეცილის სამხრეთით (ს/კ 01.14.08.001.088) მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის (სახლი 18, 19, 20) მშენებლობისათვის გამოყოფილი ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები" რაზე დაყრდნობითაც მომზადდა დასკვნა; ისევე, როგორც მეორე შემთხვევაში, როცა #005507519 დასკვნის მომზადებისას კორექტირებულ ტექნიკურ დოკუმენტაციას ჩაუტარდა ექსპერტიზა, რომელშიც მე-2 შენიშვნა კორექტირებული იყო და დოკუმნტაციაში მოცემული გრუნტის ქიმიური ანალიზის თანახმად ,,არგილიტები არადამარილიანებულია".

შპს ,,გეოინჟკომპლექსი"-ს მე-3 პასუხი მართებულია.

6. ზოგადად ნებისმიერი სამშენებლო უბნის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს ამ უბანზე მშენებლობის განხორციელების მიზანშეწონილობის დადგენა. საჭიროებისამებრ, ფერდობებზე მასიური განაშენიანების შემთხვევაში, გეოლოგიური პირობების თავისებურებისა და შენობა-ნაგებობების დასაძირკვლების კონსტრუქციული გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე აუცილებელია რთული რელიეფის მქონე ფერდობების საერთო მდგრადობის

გაანგარიშებით დადგენა.

7. ხეების ფესვთა სისტემის სიცოცხლისუნარიანობაზე მსჯელობა სცილდება საინჟინრო ექსპერტიზის კომპეტენციას.

დამატებითი შეკითხვების:

#1 შეკითხვა: როგორც წესი ფერდობების განაშენიანება და მისასვლელი გზების მშენებლობა ითვალისწინებს საყრდენი კედლების სისტემის მოწყობის აუცილებლობას; განსახილველ შემთხვევაში, ზ. საკანდელიძის ქ. ##19, 21, 23 სახლების მიმდებარედ საყრდენილ კედლების მოწყობის აუცილებლობა და მდებარეობა დამოკიდებულია კონკრეტული პროექტის არქიტექტურულ-კონსტრუქციულ გადაწყვეტაზე, რაც ექსპერტიზაზე წარმოდგენილი არა არის. მხოლოდ განცხადებაზე თანდართული გენგეგმების მიხედვით საკითხზე კონკრეტული მსჯელობა შეუძლებელია;

#2 შეკითხვა ზოგადი ხასიათისაა და მასზე კონკრეტული მსჯელობისათვის საჭიროა განხილული იყოს კონკრეტული საპროექტო დოკუმენტაცია (გეოლოგია, არქიტექტურა და კონსტრუქცია, ასევე მშენებლობის ორგანიზაციისა და წარმოების პროექტები).

ზაზა ყიფიანი

გამოკვლევა

ექსპერტიზით განიხილება ბ-ნი ო. ნარჩემაშვილის კითხვები, რომელიც უკავშირდება თბილისში ,,ბაგების მიმდებარედ, წყნეთის გზატკეცილის სამხრეთით, დაგეგმილი მშენებლობის პროექტირებასა და აღნიშნულ ტერიტორიაზე (ს/კ 01.14.08.001.088) ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევების ტექნიკური დოკუმენტაციის თაობაზე ექსპერტიზის ბიუროს მიერ მომზადებული #002383719 საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნის შენიშვნების ცალკეულ საკითხებს.

ბ-ნი ო. ნარჩემაშვილის ამაწლის 26 ივლისის #1006703119 განცხადებით დასმულია 7 (შვიდი) შეკითხვა, რომლებიც გარკვეულწილად ზოგადი ან თეორიული ხასიათისაა და კვლევითი ფორმით საკითხების განხილვას არ საჭიროებენ, შესაბამისად მათზე შეძლებისდაგვარად მოკლე და კონკრეტული პასუხებია გაცემული.

მოგვიანებით 05 აგვისტოს ბ-ნი ო. ნარჩემაშვილის მიერ #1006989819 განცხადებით დამატებული იქნა 2 (ორი) შეკითხვა.

1; 2. ზოგადად და მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაშიც ყველა საინჟინრო ნაგებობის (მათ შორის გზების) საპროექტო დოკუმენტაციის შედგენას წინ უნდა უსწრებდეს სამშენებლო ტერიტორიის საკვლევაძიებო სამუშაოები, მათ შორის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები.

3. ზოგადად და მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაშიც, სამანქანო და საფეხმავლო გზების მოსაწყობად საჭიროა არქიტექტურულ-გეგმარებითი, კონსტრუქციული და სხვა სახის საპროექტო დოკმენტაციის დამუშავება.

მე-4 შენიშვნასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ დასმულ კითხვებში, დასკვნის ორიგინალის ციტირებისას დაშვებულია უზუსტობები, კერძოდ:

1. დასკვნაში გრუნტის სიმკვრივის მნიშვნელობების შეჯერებისათვის მოცემულია ორი სიდიდე 2.3 გ/სმ^3 და 2.32 გ/სმ^3: კითხვის ფორმულირებაში კი მხოლოდ ერთი - 2.3 გ/სმ^3.

2. დასკვნაში მე-2 შენიშვნის ბოლო ნაწილში წერია არა ,,...ფიზიკურ-მექანიკური თვისებების *მნიშვნელოვანი* ცვლილება", არამედ ,,...*მნიშვნელობების* ცვლილება"

4. კითხვაში მოყვანილი #002383719 დასკვნის შენიშვნები მნიშვნელოვანია და საჭიროებენ გათვალისწინებას.

5. საინჟინრო ექსპერტიზის #002383719 დასკვნის ბოლო ნაწილში ,,გამოყენებული მასალა" მოცემულია ექსპერტიზას დაქვემდებარებული ტექნიკური დოკუმენტაცია ,,შპს ,,გეოინჟკომპლექსი"-ს მიერ მომზადებული ,,ქ. თბილისში, ბაგების მიმდებარედ, წყნეთის გზატკეცილის სამხრეთით (ს/კ 01.14.08.001.088) მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის (სახლი 18, 19, 20) მშენებლობისათვის გამოყოფილი ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები" რაზე დაყრდნობითაც მომზადდა დასკვნა; ისევე, როგორც მეორე შემთხვევაში, როცა #005507519 დასკვნის მომზადებისას კორექტირებულ ტექნიკურ

დოკუმენტაციას ჩაუტარდა ექსპერტიზა, რომელშიც მე-2 შენიშვნა კორექტირებული იყო და დოკუმნტაციაში მოცემული გრუნტის ქიმიური ანალიზის თანახმად ,,არგილიტები არადამარილიანებულია".

შპს ,,გეოინჟკომპლექსი"-ს მე-3 პასუხი მართებულია.

6. ზოგადად ნებისმიერი სამშენებლო უბნის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს ამ უბანზე მშენებლობის განხორციელების მიზანშეწონილობის დადგენა. საჭიროებისამებრ, ფერდობებზე მასიური განაშენიანების შემთხვევაში, გეოლოგიური პირობების თავისებურებისა და შენობა-ნაგებობების დასაძირკვლების კონსტრუქციული გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე აუცილებელია რთული რელიეფის მქონე ფერდობების საერთო მდგრადობის გაანგარიშებით დადგენა.

7. ხეების ფესვთა სისტემის სიცოცხლისუნარიანობაზე მსჯელობა სცილდება საინჟინრო ექსპერტიზის კომპეტენციას.

დამატებითი შეკითხვების:

#1 შეკითხვა: როგორც წესი ფერდობების განაშენიანება და მისასვლელი გზების მშენებლობა ითვალისწინებს საყრდენი კედლების სისტემის მოწყობის აუცილებლობას; განსახილველ შემთხვევაში, ზ. საკანდელიძის ქ. ##19, 21, 23 სახლების მიმდებარედ საყრდენილ კედლების მოწყობის აუცილებლობა და მდებარეობა დამოკიდებულია კონკრეტული პროექტის არქიტექტურულ-კონსტრუქციულ გადაწყვეტაზე, რაც ექსპერტიზაზე წარმოდგენილი არა არის. მხოლოდ განცხადებაზე თანდართული გენგეგმების მიხედვით საკითხზე კონკრეტული მსჯელობა შეუძლებელია;

#2 შეკითხვა ზოგადი ხასიათისაა და მასზე კონკრეტული მსჯელობისათვის საჭიროა განხილული იყოს კონკრეტული საპროექტო დოკუმნეტაცია (გეოლოგია, არქიტექტურა და კონსტრუქცია, ასევე მშენებლობის ორგანიზაციისა და წარმოების პროექტები).

ზაზა ყიფიანი

გამოყენებული მასალები

საინჟინრო ექსპერტიზის #002383719 და #005507519 დასკვნები.

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: ზაზა ყიფიანი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ბადრი ლეფსაია

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოგმართავთ შემდეგი კონკრეტული შეკითხვებით და გთხოვთ, მოგვაწოდოთ კონკრეტული პასუხები:

1. დანართი #1 გენ-გეგმაზე ნაჩვენები გზის მოსაწყობად იყო თუ არა აუცილებელი გეოლოგიური კვლევის ან/და სხვა ტექნიკური შეფასების ჩატარება/განხორციელება? (გაითვალისწინეთ, რომ საცხოვრებელი სახლების გეოლოგიური კვლევა საერთოდ არ ეხებოდა სამანქანო გზის მოწყობის საკითხს!!!).

2. დანართი #2 გენ-გეგმაზე ნაჩვენები სამანქანო და საფეხმავლო გზების მოსაწყობად, საჭირო არის თუ არა გეოლოგიური კვლევის ან/და სხვა ტექნიკური შეფასებების ჩატარება/განხორციელება?

3. დანართი #1, და #2 საჭირო არის თუ არა, გენ-გეგმებზე ნაჩვენები სამანქანო და საფეხმავლო გზების მოსაწყობად, დეტალური პროექტის (არქიტექტურული, კონსტრუქციული თუ სხვა სახის) შედგენა?.

4. თქვენი ბიუროს მიერ, შპს გეოინჟკომპლექსის მომზადებული გეოლოგიური კვლევის შეფასების შემდეგ, 2019 წლის 08 აპრილის #5002206619 დასკვნაში აღნიშნულია შემდეგი:

1. ტექნიკური ანგარიშის ტექსტური ნაწილის დასკვნებსა და რეკომენდაციებში ცხრ. #1-ში გამორჩენილია II ს.გ.ე-ს ფენა #5 ქვიშაქვის სიმტკიცის ზღვრის მნიშვნელობია წყალნაჯერ მდგომარეობაში. ცხრილში სიმკვრივის მნიშვნელობა შეადგენს 2.3 გ/სმ^3 ტექსტურ ნაწილში კი გვ.7 - 2.3 გ/სმ^3 **საჭიროა შეჯერდეს.**

2. გამოკვლეული ტერიტორიის ამგებ გრუნტებში არგილიტები დამარილიანებულია. <u>საჭირო იყო!! ტექსტური ნაწილის დასკვნაში აღნიშნული ფაქტორის შეფასება,</u> საპროექტო კომპლექსის მშენებლობის და გრძელვადიანი ექსპლუატაციის პერიოდში <u>მოსალოდნელი არის თუ არა</u> მარილების გამოტუტვა და აღნიშნული ქანის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მნიშვნელოვანი ცვლილება.

3. ძირითადი ქანების ნიმუშების გამოცდები ერთღერძა კუმშვაზე ჩატარებულია მხოლოდ წყალნაჯერ მდგომარეობაში, განსაზღვრული არ არის დარბილების კოეფიციენტები (ksof) აქედან გამომდინარე დადგენილი არ არის ძირითადი ქანების მდგენელი ფენების ქვიშაქვების და არგილიტების დარბილებადობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, კონკრეტულად გვიპასუხოთ! არის თუ არა მნიშვნელოვანი თქვენი შენიშვნების გათვალისწინება, აღნიშნული კვლევების ჩატარება და შეფასება მშენებლობის ნებართვის გაცემამდე და ასევე, მშენებლობის დაწყებამდე?.

შეკითხვა 5. როგორც კომპანია მეტრა დეველოპმენტი განმარტავს, მათ, თქვენი დასკვნის შემდეგ (თუმცა მათ მიერ მოპოვებულ დოკუმენტზე არ არის თარიღი მითითებული) მიმართეს შპს ჯეოინჟკომპლექსს განმარტებებისთვის. შპს გეოინჟკომლექსის მიერ მომზადებულ დოკუმენტში (პასუხები) მითითებულია შემდეგი:

პასუხი მე-2 შენიშვნაზე: ,,შენიშვნა არამართებულია. არგილითები ქიმიურია ანალიზების თანახმად არადამარილიანებულია''.

პასუხი მე-3 შენიშვნაზე: მოკლე ციტირება. ,,რაც შეეხება დარბილებადობის კოეფიციენტს, კონსტრუქციულ გაანგარიშებებში კონსტრუქტორებთან გამოკითხვებით ეს სიდიდე არ გამოიყენება''.

ჩვენი შეკითხვა მდგომარეობს შემდეგში: გთხოვთ, გვიპასუხოთ, არის თუ არა მართებული შპს გეოინჟკომპლექსის მეორე პასუხი, ანუ არგილითები ნამდვილად არდამარილიანებულია?. ხოლო, თუ ეს ასეა რაზე დაყრდნობით დაწერა თქვენმა ბიურომ, რომ არგილითები დამარილიანებულია?.

გთხოვთ, განსაზღვროთ, რამდენად მართებულია შპს გეოინჟკომპლექის მე-3 პასუხი და მასში მოყვანილი არგუმენტაცია თქვენ შენიშვნა რეკომენდაციაზე?.

შეკითხვა 6. მსგავსი ტიპის ურთულეს რელიეფზე იმის გათვალისწინებით რომ 1-15 მეტრის რადიუსში უკვე არსებობს 4-5 სართულიანი საცხოვრებელი სახლები, მიზანშეწონილია თუ არა პოტენციური გარემოს და მოსახელობის საფრთხეების გათვალისწინებით მრავალსართულიანი კორპუსების მშენებლობა.

შეკითხვა 7. გაცნობებთ, რომ კლდის კონტურთან არაერთი ელდარის ფიჭვის (ჯანსაღი) ფესვები არის მოშიშვლებული, ფესვები დარჩა მიწის გარეთ. შესაბამისად, იმისთვის, რომ ხეებმა არ დაკარგონ სასიცოცხლო ფუნქცია, მიზანშეონილია თუ არა მიწით შევსება და საყრდენის მოწყობა?.

დანართი: -1 CD (რომელშიც ჩაწერილია დასკვნები და გენ-გეგმები) და დოკუმენტაცია.

პატივისცემით,

ოთარი ნარჩემაშვილი

4

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო

ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს

ზურაბ ქილიფთარის(პ/ნ01026001231)
იოსებ ნიბლაძის(პ/ნ 01008003056)
ირაკლი ტიკარაძის(პ/ნ 01024057157)

მის: თბილისი, წყნეთის გზატკეცილის სამხრეთით

წარმომადგენლის, ოთარი ნარჩემაშვილის,

მის: ქ.
თბილისი, თავხელიძის 1ა, ოფისი #10

ს/მ 577 01 83 45

განცხადება

1. **გაცნობებთ, რომ კლდე, (რომლის ნაწილზეც მდებარეობს სამშენებლო ტერიტორია) მთელ პერიმეტრზე ესაზღვრება ზ. საკანდელიძის ქ. 19, 21, 23 სახლებს და მათთან მისასვლელ სამანქანო და საფეხმავლო გზას.** შესაბამისად გთხოვთ, გვიპასუხოთ, მიწის ნაკვეთებზე ს/კ 01.14.08.001.142 და 01.14.08.001.088 სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისთვის (მრავალსართულიანი შენობების, გზების მშენებლობა) არის თუ არა საჭირო, ზ. საკანდელიძის ქ. 19, 21, 23 სახლების მიმდებარედ გაკეთდეს სადრენაჟო ხვრელებიანი კლდის სამაგრი კედელი ან/და რაიმე სახის დამცავი კედელი და რა მოცულობის, რა პერიმეტრზე და უშუალოდ რა ნაწილში?.

2. ასევე გაცნობებთ, რომ მრავალსართულიანი კომპლექსის მშენებლობის შემთხვევაში, სამშენებლო მოედნის მოწყობის მიზნით, ნაკვეთის ფარგლებში საჭირო გახდება ფერდობის დამუშავება, ტერიტორიის ჰიპსომეტრიის გათვალისწინებით არანაკლებ 15,0 17,0-მ სიმაღლეზე (გთხოვთ იხ. თანდართული გარემოს ეროვნული სააგენტოს 20.03.2019

100698981
05 08 1

03,01

დასკვნა). შესაბამისად გთხოვთ, გვიპასუხოთ აღნიშნული ტიპის სამშენებლო სამუშაოები შექმნის თუ არა პირობებს/საშიშროებას, ნაკვეთის სამხრეთით მიმდებარე ტერიტორიის და აქ არსებული დასახლებული უბნის მდგრადობის დარღვევის თვალსაზრისით და რა ტიპის/სახის ღონისძიებების/სამუშაოების გატარება იქნება საჭირო სამშენებლო სამუშაოების წარმოების პროცესში, რათა დაცული იქნას მიწის ნაკვეთების ს/კ 01.14.08.001.142 და 01.14.08.001.088 სამხრეთით მდებარე ტერიტორიისა და სახლების მდგრადობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების კუთხით?

გთხოვთ, ასევე წინასწარ გვაცნობოთ ექსპერტიზის დასკვნის მომზადების სავარაუდო ღირებულება.

პატივისცემით,

ოთარი ნარჩემაშვილი

დანართი: დოკუმენტაცია

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

43527623519818

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N180795967

რეგისტრაციის თარიღი

05.07.2018 წ

ნოტარიუსი: ელენე მერგელ
მისამართი: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. 22/4
ტელეფონი: 995322745001

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას თვრამეტი წლის ხუთ ივლისს, მე, ელენე მერგელს, ნოტარიუსის ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი №22/4, მომმართა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა ბ-ნმა ზურაბ ქილიფთარმა (დაბ. 06.08.1973წ. თბილისში, საქართველოს მოქალაქე, პ/ნ 01026001231, მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი №2ა, ბინა 33) (შემდგომ ტექსტში „მარწმუნებელი"). მარწმუნებელმა მოითხოვა რწმუნებულების შედგენა და სანოტარო წესით დადასტურება. ვადასტურებ, რომ მარწმუნებლის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. მე დავადგინე მარწმუნებლის ნება, რის შემდგომაც შევადგინე რწმუნებულების შემდეგი პროექტი:

რწმუნებულება

ორი ათას თვრამეტი წლის ხუთ ივლისს, ბ-ნმა ზურაბ ქილიფთარმა (შემდგომში "მარწმუნებელი"), ბ-ნ გენადი ზარანდიას (პ/ნ 62004025877) და ბ-ნ ოთარი ნარჩემაშვილს (პ/ნ 01007015722), რომლებიც შემდგომში ერთობლივად წოდებულნი არიან, როგორც „რწმუნებულები", ხოლო თითოეული ცალ-ცალკე, როგორც „რწმუნებული", როგორც ერთობლივად ისე თითოეულს ცალ-ცალკე, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

1. რწმუნებული უფლებამოსილია წარმოადგინოს მარწმუნებელი ნებისმიერ სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებებში, სამინისტროებში, მათ დაქვემდებარებაში მყოფ სამსახურებში, როგორც საჯარო ისე კერძო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, საქართველოს ადმინისტრაციულ ორგანოებში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და მის ტერიტორიულ სამსახურებში, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში და მის ტერიტორიულ სამსახურებში, ნებისმიერ საარქივო დაწესებულებებში, იუსტიციის სახლში, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში, არქიტექტურის სამსახურში, მონაწილეობა მიიღოს ნებისმიერ ადმინისტრაციულ წარმოებაში, რომლის მხარეს (დაინტერესებულ პირს) წარმოადგენს მარწმუნებელი, წარადგინოს განცხადებები, ცნობები, დოკუმენტები, გადაიხადოს სავალდებულო გადასახადები, მიიღოს, ჩაიბაროს ნებისმიერი სახის დოკუმენტაცია, გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს ნებისმიერი აქტი ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში ან/და სასამართლოში, წარადგინოს ადმინისტრაციული საჩივარი და ზოგადად ისარგებლოს ნებისმიერი და ყველა იმ უფლებით, რაც მხარეს (დაინტერესებულ პირს) მინიჭებული აქვს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით და განახორციელოს ნებისმიერი მოქმედება, რაც დაკავშირებულია მარწმუნებლის ინტერესების დაცვასთან.

2. რწუნებული იცავს მარწმუნებლის ქონებრივ და/ან არაქონებრივ ინტერესებს და საჭიროების შემთხვევაში, აწარმოებს ყველა შესაბამის საქმეს საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში;

3. აღნიშნული დავალების განსახორციელებლად რწმუნებული უფლებამოსილია მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საჭირო საპროცესო მოქმედება;

4. რწმუნებულს აქვს ყველა ის უფლებამოსილება, რომელიც მხარეს (მესამე პირს) მინიჭებული აქვს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსებით. მათ შორის, რწმუნებული უფლებამოსილია:

ა) მარწმუნებლის სახელით შეიტანოს/წარადგინოს განცხადება და/ან სარჩელი (შესაგებელი, შეგებებული სარჩელი, კერძო საჩივარი) სასამართლოში, გაეცნოს საქმის მასალებს, გააკეთოს ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღოს ასლები, განაცხადოს აცილება, წარადგინოს შეპასუხება და მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვას მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, განაცხადოს სასამართლოს წინაშე შუამდგომლობები, მისცეს სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს თავისი დასკვნები და გამოთქვას მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყოს მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, გამოიხმოს სარჩელი, ნაწილობრივ ან მთლიანად სცნოს სარჩელი, ნაწილობრივ ან მთლიანად უარი განაცხადოს სასარჩელო მოთხოვნაზე.

ბ) გაასაჩივროს სასამართლოს ყველა აქტი (გადაწყვეტილება, განჩინება); შეიტანოს საჩივარი სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში, აწარმოოს საქმე სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში;

გ) შეცვალოს სარჩელის (შეგებებული სარჩელის) საგანი და/ან საფუძველი, გაადიდოს, ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა, დაამთავროს საქმე მორიგებით.

დ) გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი, დაიბრუნოს ბანკში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, ასევე დაიბრუნოს ხაზინიდან გადახდილი თანხა;

ე) ისარგებლოს მხარისათვის საქართველოს სამოქალაქო და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსებით მინიჭებული ყველა სხვა საპროცესო უფლებით;

5. რწმუნებული უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით შეასრულოს ყველა მოქმედება სასამართლოს გადაწყვეტილების/განჩინების და/ან გადახდის ბრძანების აღსრულებისათვის. რწმუნებული უფლებამოსილია წარმოადგინოს მარწმუნებელი სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროში, სააღსრულებო ბიუროებში, როგორც სახელმწიფო ისე კერძო აღმასრულებლებთან ურთიერთობებში, სასამართლოდან სააღსრულებო ფურცლის მიღების, სააღსრულებო ფურცლის აღსასრულებლად მიქცევის, სასამართლო აღმასრულებლის მოქმედებების გასაჩივრების, სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ყველა სხვა პროცედურაში მონაწილეობის მიღების უფლებით სასამართლო აქტის საფუძველზე მარწმუნებლისათვის მიკუთვნებული ქონების/ფულის მიღების უფლებით.

6. რწმუნებული ვალდებულია:

ა) მინიჭებული უფლებამოსილება განახორციელოს კეთილსინდისიერად და გულისხმიერებით;
ბ) მარწმუნებელს მიაწოდოს ცნობები დავალების შესრულების მიმდინარეების შესახებ, შესრულების შემდეგ კი ჩააბაროს ანგარიში;

7. რწმუნებული უფლებამოსილია აწარმოოს მოლაპარაკება მარწმუნებლის სახელით ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირთან, საჯარო თუ კერძო ორგანიზაციასთან და დაწესებულებასთან.

8. რწმუნებული არ არის უფლებამოსილი რწმუნებულებით მინიჭებული უფლებები გადასცეს (გადაანდოს) მესამე პირს.

9. ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად, რწმუნებული არ არის უფლებამისილი განკარგოს მარწმუნებლის ქონება;

10. რწმუნებულება გაცემულია 3 (სამი) წლის ვადით.

11. რწმუნებულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მეორე მხარისათვის წინასწარი შეტყობინებით. მარწმუნებელს უფლება აქვს საქმის წარმოების ყველა სტადიაზე გააუქმოს თავის მიერ გაცემული რწმუნებულება და შეწყვიტოს რწმუნებულის უფლებამოსილება, რის შესახებაც იგი წერილობით აცნობებს სასამართლოსა და რწმუნებულს. რწმუნებულს უფლება აქვს საქმის წარმოების ყველა სტადიაზე უარი თქვას თავის უფლებამოსილებაზე, რის შესახებაც დროულად უნდა აცნობოს როგორც სასამართლოს, ისე მარწმუნებელს. თუ რწმუნებულმა თავის უფლებამოსილებაზე უარი მაშინ განაცხადა (ხელშეკრულება შეწყვიტა), როცა მარწმუნებელი მოკლებული იყო შესაძლებლობას, სხვაგვარად დაეცვა თავისი ინტერესები, რწმუნებული ვალდებული იქნება მარწმუნებელს აუნაზღაუროს ზარალი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა რწმუნებულს ამისთვის მნიშვნელოვანი საფუძველი გააჩნდა.

სანოტარო აქტის ეგზემპლარების რაოდენობა: 3 (სამი), რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ელენე მერგელის სანოტარო არქივში.

საზღაური სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის: 10 ლ. თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31-ე მუხლისა, აგრეთვე 2 ლ. – სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 39-ე მუხლისა.

„მარწმუნებელი“ _____

ნოტარიუსი